

ცირკულარული ეკონომიკის პროგრამა საქართველოში „საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის შეფასება“

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა წარმოებისა და მოხმარების მეთოდების ძირფესვიან ცვლილებას საჭიროებს. ცირკულარ ეკონომიკაში საქონელი იმგვარად იქმნება, რომ იყოს გამძლე, შესაძლებელი იყოს მისი მოდერნიზაცია, შეკეთება და ხელახლა გამოყენება; ამასთან, ხმარებიდან ამოღების შემდეგ გათვალისწინებულია მათ დასამზადებლად მოხმარებული მასალების მეორადი გამოყენება. მოხმარების ეტაპზე პროდუქტები იმგვარად იმართება, რომ მაქსიმალურად გამოიყენებოდეს და ექსპლუატაციის ვადა გახანგრძლივდეს, რისი წყალობითაც მათი ღირებულების შენარჩუნება შეძლებისდაგვარად დიდხანს ხდება. ამას ის კომპანიები უნდა ახერხებდნენ, რომლებმაც შეიმუშავეს ახალი ბიზნესმოდელები, სადაც შემოსავალი მომსახურებიდან მიიღება და არა საქონლიდან, ამასთანავე რესურსები უფრო ეფექტიანად მოიხმარება და/ან ხმარებიდან ამოღებული საქონელი თუ მასალები ახალ ღირებულებას იძენს. მომხმარებლები კი საქონელს იყენებენ ეფექტიანად და იმგვარად იცილებენ, რომ შესაძლებელი იყოს მათი ხელახლა გამოყენება, ხოლო თუ ასეთი რამ ტექნიკურად შეუძლებელი ან ეკონომიკურად გაუმართლებელია, გადამამუშავებელი ობიექტები მათ გარდაქმნიან მეორად ნედლეულად, რომელმაც შეიძლება წარმოება-მოხმარების ახალ ციკლი გაიაროს. აღნიშნული საჭიროებს მთელი სისტემის მხარდაჭერას, დაწყებული ტექნოლოგიებითა თუ ინფრასტრუქტურით და დამთავრებული ღირებულებათა ჯაჭვის რგოლებსა თუ სხვადასხვა ჯაჭვებს შორის თანამშრომლობის ხელშემწყობი საბაზრო სტრუქტურით, ასევე მმართველობის ფორმითა და რეგულაციებით, რომლებიც კომპანიებს წაახალისებს ცირკულარული მიდგომები სოციალურ ნორმად აქციონ, რის შედეგადაც საზოგადოება ცირკულარულ წარმოება-მოხმარებას მიაწევს უპირატესობას.

ახლახან საქართველო ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარებულ გზას დაადგა და მისი ძირითადი ამოცანაა 'სასიცოცხლო ციკლის დასრულების' კონცეფცია ისეთი ეკონომიკური სისტემით ჩაანაცვლოს, რომელშიც მასალების ციკლები ჩაკეტილია. მთავრობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აკადემიური სექტორისა და საერთაშორისო პარტნიორების შეთანხმებული ძალისხმევით, საქართველომ ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიისა და გზამკვლევის შემუშავება დაიწყო. მათი მიზანია ყოვლისმომცველი მიდგომის გამოყენება მრავალი მიმართულებით, რომლებიც მოიცავს წარმოებას, მოხმარებას, ნარჩენების მართვას, მეორად ნედლეულს, ინოვაციებს, ინვესტიციებს, ასევე სხვადასხვა სფეროებში მიმდინარე პროექტებს, რომლებსაც სხვადასხვა დარგებში, სხვადასხვა მოთამაშეები ახორციელებენ და ღირებულებათა ჯაჭვის სხვადასხვა რგოლს განეკუთვნება, ან განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფება.

ცირკულარობაზე დაჩქარებული გადასვლის პროცესის პირველი ნაბიჯია საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის შესწავლა და ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიისათვის რეკომენდაციების შემუშავება. ეს საქმიანობა უკვე დაწყებულია ცირკულარული ეკონომიკის მიმდინარე პროგრამის ფარგლებში, რომელსაც საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე ფარგლებში, საქართველოს მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით ახორციელებს. ცირკულარობის შეფასების ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტებისგან შექმნილი გუნდისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა, რათა ცირკულარობის არსებული დონე სათანადოდ შეფასდეს, ცირკულარული ეკონომიკის ეროვნული პოლიტიკის სათანადო რაოდენობრივი სამიზნე მაჩვენებლები და ცირკულარული მიზნები განისაზღვროს, დარგობრივი შესაძლებლობები გამოვლინდეს და დარგობრივი პოლიტიკის ვარიანტები განისაზღვროს, ხოლო შემდგომში საქართველოს ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევისა და სტრატეგიის შემუშავება უნდა მოხდეს.

ამ პროგრამის განხორციელებას ხელმძღვანელობს ცირკულარული ეკონომიკის საერთაშორისო ექსპერტი, რომელსაც ეხმარებიან საქართველოს ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოციალურ,

მმართველობის და მდგრადი განვითარების საკითხებში ღრმად ჩახედული ადგილობრივი ექსპერტები. 2021 წლის მარტში, ცირკულარობის შეფასების პროცესის დაწყებამდე, საქართველოს მთავრობამ უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი (საქართველოს მთავრობის საკოორდინაციო საბჭო) ჩამოაყალიბა, რომელშიც შედიან სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, რათა მასში ცოდნის ფართო სპექტრი იყოს წარმოდგენილი და საკვანძო უწყებები ადრეულ ეტაპზევე ჩაერთონ პროცესში.

პროექტის „საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის შეფასება“ ფარგლებში პირველი, გაცნობითი ხასიათის სასტარტო შეხვედრა 2021 წლის 23 აპრილს გაიმართა. ორივე ჯგუფის ექსპერტების მომდევნო, პლენარული შეხვედრა მოეწყო 2021 წლის 1 ივლისს, როდესაც განხილული იქნა საქართველოში ცირკულარული ეკონომიკის შეფასების ასპექტები და გამოწვევები, ქვეყნის ეკონომიკის ცირკულარობის შეფასების პროცესის მიმდინარე მდგომარეობა, საქართველოს მთავრობის საკოორდინაციო საბჭოსა და სბმკ „ორქისი“-ს სამუშაო ჯგუფის როლები, შემდგომი ნაბიჯები და ძირითადი ამოცანები. ამის შემდეგ, 2021 წლის 12 ნოემბერს საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და სბმკ „ორქისი“-ს სამუშაო ჯგუფის მე-2 პლენარულ შეხვედრაზე განხილული იქნა „საქართველოს ეკონომიკის 1-ლი პლენარული შეხვედრის შემდგომ განხორციელებული საქმიანობა და მიღებული შედეგები, კერძოდ: წინასწარი კვლევის შედეგები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაში ეკონომიკის სხვადასხვა დარგების მნიშვნელობას წარმოაჩენს მაკროეკონომიკური და დასაქმების მაჩვენებლების საფუძველზე; დარგებისა და რეგიონების მიხედვით წარმოქმნილი ნარჩენების შეფასების მეთოდოლოგია, ნარჩენების წინასწარი შეფასების შედეგები (წინასწარი შედეგები) და რეციკლირების არსებული დონე; ცირკულარობის პოტენციალი (წინასწარი შეფასება), რომელიც ძირითადად ნარჩენების რეციკლირების შესაძლებლობაზე დაყრდნობით განისაზღვრა; მიმდინარე შეფასების პროცესის დასრულების გეგმა; ახალი, დამატებითი კვლევების გეგმა; პერსპექტიული მიდგომების შერჩევისა და ცირკულარობის შეფასების ამოცანის დასრულების მიზნით სამუშაო პროცესში შესატანი ცვლილებების პირველადი ანალიზი.

პირველ ორ პლენარულ შეხვედრაზე მიღებული უკუკავშირი სბმკ „ორქისი“-ს სამუშაო ჯგუფს დაეხმარა ცირკულარობის შეფასების მიმდინარე პროცესის შემდგომი ნაბიჯები დაეგეგმა და საქმიანობაში საჭირო ცვლილებები შეეტანა. 2022 წლის 4 მარტს დაგეგმილია საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და სბმკ „ორქისი“-ს სამუშაო ჯგუფის მე-3 პლენარულ შეხვედრა, რომლის ამოცანაა მე-2 პლენარული შეხვედრის შემდგომ განხორციელებული საქმიანობის, კერძოდ კი საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის კომპლექსური შეფასების წინასწარი შედეგებისა და ქვეყანაში ცირკულარობის განვითარების პერსპექტივების განხილვა. შედეგები ეყრდნობა საქართველოს სხვადასხვა უწყებების მონაცემთა ბაზებში არსებულ სტატისტიკური მონაცემების ანალიზს, ასევე მე-2 პლენარული შეხვედრის შემდგომ სხვადასხვა სამთავრობო უწყებებთან, მუნიციპალიტეტებთან, ბიზნეს ასოციაციებთან და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან გამართულ ინტენსიურ კონსულტაციებს, რომელთა მიზანიც იყო: საქართველოს ერთიან ეკონომიკურ სტრუქტურაში მოქცეული სხვადასხვა ეკონომიკური დარგების მნიშვნელოვნებისა და მათი განვითარების პერსპექტივის სათანადოდ შეფასება; ნარჩენების ნაკადებისა და მართვის სისტემების სიღრმისეულად გაანალიზება; ბუნებრივი, ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული რესურსების მართვის ეფექტიანობის შეფასება; ცირკულარობის არსებული დონის შეფასება მრავალგანზომილებიანი ანალიზისა და სხვადასხვა რაოდენობრივი ან ნახევრად რაოდენობრივი ინდიკატორების მეშვეობით; საქართველოში ცირკულარობის განვითარებისათვის პერსპექტიული მიმართულებებისა და სქემების განსაზღვრა. მე-3 პლენარული შეხვედრის კიდევ ერთი ამოცანაა „ცირკულარობის ხარვეზების თაობაზე 2022 წლის ანგარიში“-ს განხილვა, რათა საკოორდინაციო საბჭო და სამუშაო ჯგუფი უკეთ გაეცნონ, რა კავშირია ცირკულარულ ეკონომიკასა და კლიმატურ ცვლილებებს შორის, ცირკულარობის კუთხით რა გლობალური ტენდენციები არსებობს, ცალკეულ დარგებში ცირკულარობის კუთხით რა ხარვეზები არსებობს და გამოწვევების საპასუხოდ რა სტრატეგიების გამოყენებაა შესაძლებელი.